ლუგანსკში ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელიც სინდისის თავისუფლების სფეროში სამართალდამცავ პრაქტიკას მიეძღვნა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 23.12.2022. 22 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივმა პალატამ ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივ პალატასთან ტელეხიდის ფორმატში გამართა მრგვალი მაგიდა თემაზე „სინდისის თავისუფლების სფეროში სამართალდამცავი პრაქტიკის განვითარების საკითხები: რეგიონალური ასპექტი“.

ღონისძიების გამართვის ინიციატივით გამოვიდა ეროვნებათაშორისო და რელიგიათაშორისო ურთიერთობების ჰარმონიზაციის საკითხებში რფ-ს საზოგადოებრივი პალატის კომისია, სრულიად რუსული საზოგადოებრივი ორგანიზაცია „რელიგიური თავისუფლების დაცვის რუსეთის ასოციაცია“ (РАРС) და საზოგადოებასთან და მასმედიასთან (СМИ) ეკლესიის ურთიერთობის სინოდალური განყოფილება (ОВЦО). ღონისძიება ჩატარდა პრეზიდენტის საგრანტო ფონდის მხარდაჭერით, – **იტყობინება** ОВЦОиСМИ საიტი.

მრგვალ მაგიდაში მონაწილეობის მისაღებად ლუგანსკში ჩავიდნენ მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მდივანი შორეული საზღვარგარეთის საქმეებში დეკანოზი სერგი ზვონარიოვი და ბელგოროდის ოლქის საზოგადოებრივი პალატის წევრი, გუბკინის ეპარქიის რაკიტიანის ოლქის კეთილმოწესე დეკანოზი ნიკოლოზ გერმანსკი, ასევე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან

არსებული რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობის საბჭოს წევრი, PAPC-ის გენერალური მდივანი ო.იუ. გონჩაროვი.

მოსკოვში დისკუსიის მოდერატორებად გამოვიდნენ ეროვნებათაშორისო და რელიგიათაშორისო ურთიერთობების ჰარმონიზაციის საკითხებში რფ-ს საზოგადოებრივი პალატის კომისიის თავმჯდომარე ვ.იუ. ზორინი, რელიგიური თავისუფლების დაცვის რუსეთის ასოციაციის თავმჯდომარე ს.ა. მელნიკოვი და საზოგადოებასთან და მასმედიასთან ეკლესიის ურთიერთობის სინოდალური განყოფილების სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობის სამმართველოს ხელმძღვანელი პ.ვ.ლებედევი, ხოლო ლუგანსკში – ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი პალატის თავმჯდომარე ა.ვ. კარიაკინი.

ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყვნენ ფედერალური და რეგიონალური დონის სახელმწიფო სახელისუფლო ორგანოების წარმომადგენლები, სახელმწიფო-კონფესიური ურთიერთობების სფეროს ექსპერტები, რელიგიური მოღვაწენი. სამსჯელოდ გამოტანილი იქნა სახელმწიფოს სახელისუფლო ორგანოების, რელიგიური გაერთიანებებისა და სახელმწიფო-კონფესიური ურთიერთობების სფეროს ექსპერტების დიალოგის განვითარების საკითხები ფედერალურ და რეგიონალურ დონეზე, რუსეთის ახალი რეგიონების რელიგიური გაერთიანებების ჩართვა რუსეთის ფედერაციის სოცკულტურულ და სამართლებრივ სივრცეში, ასევე „რუსეთის ტრადიციული სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების დაცვისა და განმტკიცების სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ რფ-ს პრეზიდენტის 2022 წლის 9 ნოემბრის №809 ბრძანებულების დებულებათა იმპლემენტაცია.

მოდერატორების მიერ დისკუსიისათვის პრობლემური საკითხების გაჟღერების შემდეგ ექსპერტული კომენტარებითა და მოხსენებებით გამოვიდნენ: საზოგადოებასთან და მასმედიასთან ეკლესიის ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე ვ.ვ. ყიფშიძე; რუსეთში მუსლიმთა სულიერი კრების მეთაური, ეროვნებათაშორისო და რელიგიათაშორისო ურთიერთობების ჰარმონიზაციის საკითხებში რფ-ს საზოგადოებრივი პალატის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მუფთი ა.პ. კრგანოვი; მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მდივანი შორეული საზღვარგარეთის საქმეებში დეკანოზი სერგი ზვონარიოვი; ბელგოროდის ოლქის საზოგადოებრივი პალატის წევრი, რუსული გამოცდილების შეკრების რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი დეკანოზი ნიკოლოზ გერმანსკი; ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი პალატის წევრი, ღვთისმშობლის ხატის – „მოალერსე“ სახ. ლუგანსკის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ალექსანდრე პონომარიოვი; ეროვნებათაშორისო და კონფესიათაშორისო ურთიერთობათა მდგომარეობის, ექსტრემიზმის პროფილაქტიკისა და რუსეთის ეროვნულ საქმეთა ფედერალური სააგენტოს რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის მონიტორინგის სამმართველოს უფროსი ა.ო. ბულატოვი; დონეცკის სახალხო რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს რელიგიური და ეროვნული განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვ.იუ. სავიცკი; ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს რელიგიის საკითხების სექტორის გამგე ო.ი. პომნიკოვი; PAPC-ის გენერალური მდივანი, პრეზიდენტთან არსებული რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობის საბჭოს წევრი ო.იუ. გონჩაროვი; ეროვნებათაშორისო და რელიგიათაშორისო ურთიერთობების ჰარმონიზაციის საკითხებში რფ-ს საზოგადოებრივი პალატის კომისიის წევრი, სახარების რწმენის ქრისტიანთა რუსეთის გაერთიანებული კავშირის (ორმოცდაათიანელები) მმართველი ეპისკოპოსი ს.ვ. რიახოვსკი; ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის მუფთი ე. ღამბაროვი; ეროვნებათაშორისო და რელიგიათაშორისო ურთიერთობის ჰარმონიზაციის საკითხებში რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის კომისიის წევრი ს.ვ. კირიშოვი; თათრეთის რესპუბლიკის მუფთის მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში ს. იბრაგიმოვი.

საზოგადოებასთან და მასმედიასთან ეკლესიის ურთიერთობის სინოდალური განყოფილების მხრიდან ღონისძიებას რფ-ს საზოგადოებრივ პალატაში ასევე შეუერთდნენ სამმართველოს მუშაკები სახელმწიფო სტრუქტირებთან თამამშრომლობის საკითხებში დიაკონი ზაქარია ბეგდაში, ვ.ო. ბორზენკო და რეფერენტი პ.ა. ოვსიანიკოვი.

მრგვალი მაგიდის დასრულების შემდეგ დეკანოზმა სერგი ზვონარიოვმა, დეკანოზმა ნიკოლოზ გერმანსკიმ, ო.იუ. გონჩაროვმა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის მუფთმა ე. ღამბაროვმა დონბასელ ბავშვებს ჰუმანიტარული დახმარება გადასცეს, რომელიც რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთქმედების რფ-ს პრეზიდენტთან არსებული საბჭოს დისკრიმინაციისა და ქსენოფობიისგან მორწმუნეთა უფლებათა დაცვის რელიგიათაშორისო სამუშაო ჯგუფის წევრების ძალებით შეგროვდა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89888/